ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1232537

ნომერი: AR1209124

თარიღი : 02.04.2014

გაცემის თარიღი : 22.04.2014

გაცნობის თარიღი : 23.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N3 / ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი , გზატკეცილი N1 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1ბ ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 5 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა N2 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 1 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 2 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 4 ; ქალაქი თბილისი , კოჯრის ახალი გზა , N 6 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , (ნაკვ. 07/010) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვეფხვია დვალი პ/ნ 38001004585
- საჩხერე ს. საირხე

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 16 აპრილს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR1209124 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე ვეფხია დვალმა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდით #01.15.07.006.045; #01.15.07.007.006; #01.15.07.007.028; #01.15.07.007.023; #01.15.07.007.020; #01.15.07.007.016; #01.15.07.007.014; #01.15.07.007.013; #01.15.07.007.010

მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება. საპროექტო ობიექტის მნიშვნელობიდან და ტერიტორიის მდებარეობიდან გამომდინარე (საპროექტოდ შერჩეული მიწის ნაკვეთები მდებარეობს შემდეგ ფუნქციურ ზონებში: ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა (ლსზ), საცხოვრებელი ზონა 2 (სზ–2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)), აღნიშნული მიწის ნაკვეთების ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენის საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #14 (07.04.14.)), რომელზეც გადაწყდა უარყოფითად.

საბჭოს წევრთა რეკომენდაციით: – წარმოდგენილი კონცეფციიდან გამომდინარე, თავისი მასშტაბურობით პროექტი განხილულ უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ვეფხია დვალს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდით #01.15.07.006.045; #01.15.07.007.006; #01.15.07.007.028; #01.15.07.007.023; #01.15.07.007.020; #01.15.07.007.016; #01.15.07.007.014; #01.15.07.007.013; #01.15.07.007.010 მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.